საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1616
10/03/2023

1616-21-2-202303101623

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის 12
ელ. ფოსტა: info@georoad.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოდგენილი N7049 განცხადება, რომელიც ეხება „E-60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ნატახტარი-რუსთავის (თბილისის შემოვლითი გზა), ნატახტარი-ჟინვალის მონაკვეთის მშენებლობასა და ექსპლუატაციას“ და გაცნობებთ, რომ გზშ-ის ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- გზშ-ის ანგარიშის პირველ ტომში მითითებულია, რომ დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ფუჭი ქანების წარმოქმნა არ მოხდება და ფუჭი ქანების სანაყაროს მოწყობა არ არის გათვალისწინებული, თუმცა ანგარიშის მეორე ტომში, 8.1 ცხრილში მითითებულია რომ მოხდება „მასალების ტერიტორიიდან გატანა და **სანაყაროზე განთავსება**“. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი (მათ შორის თუ რატომ არ მოხდება ფუჭი ქანების წარმოქმნა) დაზუსტებას საჭიროებს. გაცნობებთ, რომ ფუჭი ქანების წარმოქმნის შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს ფუჭი ქანების მართვის საკითხები (სავარაუდო მოცულობა, დროებითი და საბოლოო დასაწყობების ადგილები და ა.შ.). ამასთან, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ფუჭი ქანების სანაყაროს მოწყობის შემთხვევაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობით გათვალისწინებული მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი გამონამუშევარის განთავსების ტერიტორიის (სანაყარო) ალტერნატივების შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით, აგრეთვე ინფორმაცია აღნიშნული გამონამუშევარის განთავსების შესახებ;

- წარმოდგენილი არ არის შესაბამისი ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოების ფარგლებში ნიადაგზე/გრუნტზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ. ასევე, ნიადაგზე ზემოქმედების ნაწილში მითითებული არ არის, ნიადაგის მოხსნას დაქვემდებარებული ტერიტორიის სავარაუდო ფართობი და მოსახსნელი ნიადაგის მოცულობა;
- საპროექტო ტერიტორია, თანდართული დოკუმენტებით მოიცავს, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვების მიზნით, 2020 წელს ათი წლის ვადით, შპს ,,თელა-777"-ზე გაცემული #10001643 ლიცენზიის პირველი სანიტარიული დაცვის მკაცრი რეჟიმის ზონას. ,,წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აკრძალულია წიაღის ფონდის მიწების საკუთრების უფლებით, იჯარით ან სხვა ფორმით გაცემა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების გარეშე, ხოლო ლიცენზირებული ობიექტის შემთხვევაში - აგრეთვე ლიცენზიის მფლობელთან შეთანხმების გარეშე. საპროექტო ტერიტორია ასევე კვეთს, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მიზნით, დასკვნა მომზადებულ ობიექტს #76626, რომელზეც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება, შემდგომში ლიცენზიის გაცემის მიზნით. **აღნიშნულიდან გამომდინარე, საკითხი შეთანხმებულ უნდა იქნეს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან და გათვალისწინებული უნდა იყოს სააგენტოში წარმოდგენილ დოკუმენტაციაში;**
- გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის ერთი მონაკვეთი ხვდება ბულაჩაურში მდებარე ჯვარპატიოსნის ეკლესიისა და მისი გალავნიდან 3,5 მეტრში, ძეგლის ფიზიკური დაცვის ზონაში. დოკუმენტში მოცემულია 100 მეტრის სიგრძის და 5 მ სიმაღლის ჯებირის სამშენებლო პროექტი, რაზეც აღნიშნულია, რომ საკითხი შეთანხმებულია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსთან. **სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ზემოაღნიშნული ძეგლის დამცავ ზონებში მიმდინარე სამუშაოების შეთანხმება სააგენტოსთან არ მომხდარა. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი უნდა იქნეს სააგენტოსთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;**
- საპროექტო ბუფერი კვეთს თბილისის ეროვნული პარკის საზღვრებს. ამასთან „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს No299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 14 5111 კვ.მ წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს (ბარისახოს სატყეო უბნის ბულაჩაურის და ჭოპორტის სატყეოები და მცხეთის სატყეო უბნის ჯვრის სატყეო). გაცნობებთ, რომ სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე და სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით,

განსაზღვრული საქმიანობა ან მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან, რისთვისაც წარმოდგენილი უნდა იყოს ამავე დადგენილებით განსაზღვრული დოკუმენტაცია;

- წარმოდგენილი უნდა იქნეს დეტალური ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პერიოდში ,,წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №440 დადგენილების მოთხოვნების გათვალისწინების შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშის ჰიდროლოგიურ ნაწილში დაშვებულია ტექნიკური შეცდომები, კერძოდ: გზშ-ის ანგარიშში სურათზე „7-9" მითითებული უნდა იქნეს ხევსურეთის არაგვი. სურათებზე „7-10" და „7-11" მოცემულ ჰიდრავლიკური მოდელირების შედეგებს უნდა დაერთოს სიტყვიერი განმარტებები. შესაბამისად, საჭიროა ჰიდროლოგიური ანგარიშის რედაქტირება;
- გზშ-ის ანგარიშში ცხრილში 2-1, მითითებულია, რომ ინფორმაცია მიწის კატეგორიისა და მიწათსარგებლობის ფორმის შესახებ, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოდგენილია მე-6 თავში, თუმცა აღნიშნულ თავში განხილულია საავტომობილო გზის სამშენებლო სამუშაოები და ექსპლუატაცია. წარმოდგენილი უნდა იქნეს დეტალური ინფორმაცია ზემოაღნიშნული საკითხის გათვალისწინების შესახებ;
- ხმაურის გავრცელების ნაწილში, დეტალურად უნდა იქნეს განხილული საპროექტო გზის გასწვრივ, დასახლებული პუნქტების მიმდებარედ ხმაურდამცავი ბარიერების მოწყობის საკითხი;
- გზშ-ის ანგარიშში (ტომი 7) წარმოდგენილია ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ფარგლებში შესაბამისი ინფრასტრუქტურის გადატანით სამუშაოებთან დაკავშირებით და პროექტების ინფრასტრუქტურის მფლობელ/ოპერატორ კომპანიებთან შეთანხმების ამსახველი დოკუმენტები; თუმცა, განხილული არ არის ინფრასტრუქტურის გადატანის სამუშაოების შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება. ინფრასტრუქტურის გადატანის საკითხი ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს ალტერნატივების განხილვისას;
- ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის „ზ" ქვეპუნქტის მიხედვით, გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს „გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასებას და მისი აუცილებლობის დასაბუთებას, რაც გულისხმობს შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში". აღნიშნულთან დაკავშირებით, გზშ-ის ანგარიშის „2-1" ცხრილში „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნა გზშ-ს ანგარიშში შესაბამისი ინფორმაციის ამსახველი თავების მითითებით" მითითებულია, რომ აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილია ალტერნატივების თავში (თავი 4). თუმცა, არც ალტერნატივების თავში და არც გზშ-ის ანგარიშის სხვა რომელიმე ნაწილში არ არის შედარებული პროექტის

განხორციელების შედეგად გარემოსთვის მიყენებული შეუქცევი ზიანი/დანაკარგი და მიღებული სარგებელი. წარმოდგენილი უნდა იქნეს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში;

- დამატებით დასაბუთებას საჭიროებს საპროექტო გზის დერეფნის შერჩეული ალტერნატივის უპირატესობა, სხვა ალტერნატივებთან მიმართებით. ამასთან, სათანადოდ უნდა იქნეს დასაბუთებული, რატომ იქნა უარყოფილი არსებული საავტომობილო გზის დერეფნის გაფართოების ალტერნატივა;

- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გზის მიმართულებების ალტერნატივების შეფასებისას გამოიკვეთა ასპექტები, მაგალითად: შეფასების სკალის განსაზღვრისას ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედებას მინიჭებული აქვს 20 ქულა, ხოლო ფინანსურ-ეკონომიკურ მიმართულებას 35, რაც დეტალურ განმარტებებს საჭიროებს. ამასთან, ალტერნატივების შეფასებისას სათანადოდ განხილული და შეფასებული არაა შერჩეული ალტერნატივის შემთხვევისთვის ინფრასტრუქტურის ობიექტების (როგორიცაა: წყალმომარაგების გვირაბი, ნავთობისა და გაზის კორპორაციის გაზსადენები) გადატანით მოსალოდნელი ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე;
- ვინაიდან სამშენებლო ბანაკის, სამშენებლო და სასაწყობე მოედნების და სხვა ამგვარი ინფრასტრუქტურის მოწყობის დეტალები გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი და შემდგომ შესათანხმებლად მშენებელი კონტრაქტორის ვალდებულებაშია მითითებული, საჭიროა წარმოდგენილი იყოს უფრო დეტალური ინფორმაცია, მათ შორის აღნიშნული ობიექტების განთავსებისათვის წინასწარ მოაზრებული ადგილებისა და ამ ობიექტების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია.
- პროექტით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული ობიექტების გადატანა დაგეგმილია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე (ტომი 1, გვ. 67). აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, წინასამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა განისაზღვროს ამ ობიექტების მოწყობა-ფუნქციონირებით ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედების სააგენტოსთან შეთანხმების საკითხი, სადაც ასევე განხილული იქნება ალტერნატივები, დეტალურად უნდა აღიწეროს არსებული მდგომარეობა, ბიომრავალფეროვნების ცალკეულ კომპონენტებზე ზემოქმედების სახეები და მასშტაბი, ამ ზემოქმედების თავიდან აცილების და/ან შერბილების ქმედებები;
- საჭიროა დაკონკრეტდეს/დაზუსტდეს მოსაჭრელი ხე-მცენარეების ოდენობა და სახეობები, განსაკუთრებით წითელი ნუსხისა და ზურმუხტის ტერიტორიაზე გავრცელებულ სახეობებთან მიმართებით. ასევე, 8 სმ-ზე ნაკლები დიამეტრის მქონე ხე-მცენარეების გადარგვის ქმედებების ნაცვლად (რაც ექსპლუატაციის ფაზაზე ერთ-ერთ შემარბილებელ ქმედებადაა მითითებული გზშ-ის

ანგარიშში) შემოთავაზებული უნდა იქნას სხვა, კონსერვაციის თვალსაზრისით უფრო მეტად ეფექტიანი ღონისძიებები;

- საჭიროა დეტალურად იყოს წარმოდგენილი და აღწერილი დაცულ ტერიტორიაზე/ზურმუხტის ტერიტორიაზე მოსაწყობი ინფრასტრუქტურა და ამ ქმედებებით მოსალოდნელი ზეგავლენა ბიომრავალფეროვნებაზე, მათ შორის უფრო მეტი დეტალიზებით იყოს მოცემული იმ ტერიტორიების მდგომარეობა, დახასიათება, ფართობი და სხვა ასპექტები, რომლებსაც კვეთს საპროექტო გზის შერჩეული ალტერნატივა;
- წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო დერეფნის იმ მონაკვეთ(ებ)ის დეტალურად აღწერა, რომელიც გზშ-ის ანგარიშის თანახმად ემთხვევა არსებულ გზას (გზშ-ის ტომი 2, გვ 120-ზე მითითებული ფრაზიდან გამომდინარე, დიდი ძუძუმწოვრების არსებობასთან მიმართებით). შესაბამისად, უფრო დეტალურად უნდა აღიწეროს ექსპლუატაციის ფაზაზე ცხოველებზე ზემოქმედებასთან დაკავშირებული ასპექტები. ამასთან, ექსპლუატაციის ფაზისთვის ცხოველებზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებად შემოთავაზებული გასასვლელების/კულვერტების პარამეტრები, რაოდენობა, შერჩეული ადგილები შესაბამისი დასაბუთებით უნდა იყოს მოცემული;
- ზზშ-ს ნაწილში საჭიროა გასწორდეს ზურმუხტის ქსელის შესახებ მოძველებული ინფორმაცია (2020 წლის მდგომარეობით). ამჟამად არსებული მდგომარეობით საქართველოში ზურმუხტის ქსელი მოიცავს 66 ტერიტორიას/საიტს, რომელთაგან ყველა დამტკიცებულის სტატუსის მატარებელია. გარდა ამისა, ფრინველებზე მოსალოდნელი ზემოქმედების ნაწილი განხილული უნდა იყოს დეტალურად;
- წარმოდგენილ იქნეს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმა (მათ შორის ზურმუხტის ტერიტორიისთვის), რომელსაც უნდა დაემატოს მონიტორინგის წარმოების ხანგრძლივობისა და სამინისტროსთან ანგარიშგების პერიოდულობის შესახებ გრაფები, სათანადო ინფორმაციით. ასევე მნიშვნელოვანია, რომ გეგმაში სრულყოფილად აისახოს გზშ-ის ანგარიშსა და ზზშ-ს ნაწილში მოცემული სამონიტორინგო დაკვირვების საკითხები. ყურადღება უნდა გამახვილდეს ასევე ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების პრევენციული ღონისძიებების ეფექტურობაზე დაკვირვების საკითხების გეგმაში სრულფასოვნად ასახვაზე, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ქმედებების დაგეგმვა-განხორციელების მიზნით;
- წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ღვარცოფული ხევებისა და ავტომაგისტრალის გადაკვეთის უბნებზე შესაბამისი ნაკადგამტარი კონსტრუქციების მოწყობის შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშთან ერთად წარმოდგენილია საპროექტო გზის ერთიანი ხაზობრივი shp ფაილები. წარმოდგენილი უნდა იქნეს shp ფაილები, სადაც ერთმანეთისგან გამოყოფილი იქნება საავტომობილო გზა, სახიდე გადასასვლელები და მისასვლელები-დამაკავშირებელი გზები;

- სათანადოდ არ არის გათვალისწინებული N35 სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საპროექტო გზის დაცვის ზონების შესახებ დეტალური ინფორმაციის წარმოდგენის საკითხი. აღნიშნულთან დაკავშირებით მითითებულია, რომ საპროექტო დერეფნის ბუფერის shp ფაილი თან ახლავს დოკუმენტს, თუმცა ტექსტური ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის;
- გზშ-ის ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში მოცემული ზოგიერთი სქემატური ნახაზი და სურათი წარმოდგენილი არ არის ქართულ ენაზე;
- წარმოდგენილ უნდა იქნეს ინფორმაცია, იმის მიხედვით, თუ რა საკითხებს ეხება კონკრეტული დანართები (გზშ-ის ანგარიშის დანართების დასახელება);
- გზშ-ის ანგარიშის დანართში (ტომი 7) წარმოდგენილ ცხრილში „გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი - სკოპინგის დასკვნის მიხედვით“ სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ შესაბამისი ინფორმაცია წარმოდგენილია გზშ-ის ტომებში. ცხრილში გზშ-ის ტომებთან ერთად, მითითებული უნდა იქნეს კონკრეტული თავები/ქვეთავები;
- გზა კვეთს და პარალელურად მიუყვება შპს ,,საქართველოს მელიორაციის" კაპიტალში რიცხულ რეგისტრირებულ საგურამოს მაგისტრალურ არხს (ს/კ: 72.00.805), ბულაჩაურის არხს (ს/კ: 71.00.597) და არაგვისპირის არხს (72.00.016) ასევე კვეთს იმავე სარწყავი სისტემების გამანაწილებლების ბოლო მონაკვეთებს. მაგისტრალური არხების გასხვისების ზოლები, საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის ,,სამელიორაციო სისტემების ნაგებობებისათვის მიწის ზოლებისა და ნაკვეთების მიჩენაგასხვისების სამშენებლო ნორმების დამტკიცების შესახებ" 30.06.2003 წლის N19 ბრძანების შესაბამისად შეადგენს არხის ბერმიდან საექსპლუატაციო გზის ჩათვლით 6-6 მეტრს არხის ორივე მხარეს, ხოლო გამანაწილებლებისთვის 4-4 მეტრს ორივე მხარეს. სამშენებლო სამუშაოების შესრულებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სამელიორაციო ინფრასტრუქტურის გასხვისების ზოლის სიგანეები და მკაცრად იქნეს დაცული მათი საპროექტო პარამეტრები. სამელიორაციო ინფრასტრუქტურის დაზიანების შემთხვევაში, სამუშაოების დასრულებისთანავე აღდგენილი უნდა იქნეს დაზიანებული მონაკვეთი საპროექტო პარამეტრების გათვალისწინებით. ასევე შპს ,,საქართველოს მელიორაციასთან" წარდგენილი უნდა იქნეს პროექტი გადაკვეთის კვანძების ტექნიკური პირობების შესათანხმებლად. წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია ზემოაღნიშნული საკითხის გათვალისწინების შესახებ;
- წარმოდგენილი უნდა იქნეს ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია, ერთიანი ცხრილის სახით.

გაცნობებთ, რომ 2023 წლის 30 და 31 იანვარს ჩატარებულ საჯარო განხილვაზე დამსწრე პირებმა გამოთქვეს სხვადასხვა სახის შენიშვნები/მოსაზრებები დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით (დეტალური ინფორმაცია იხილეთ საჯარო განხილვის ოქმში). გარდა ამისა, ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოში ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას", „პენსიონერ ინჟინერთა ლიგის" და სხვადასხვა დაინტერესებული პირების მიერ

წარმოდგენილ იქნა შენიშვნები/მოსაზრებები, სადაც ძირითადად დაფიქსირებულია უარყოფითი დამოკიდებულება დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით. წარმოდგენილი შენიშვნები/მოსაზრებები ეხება შემდეგ საკითხებს: დაგეგმილი საქმიანობის ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზს და დასაბუთებას, საპროექტო გზის ალტერნატივებს და შერჩეული ალტერნატივის დასაბუთებას, შერჩეული ალტერნატივის მიუღებლობისა და სხვა ალტერნატივის განხილვის საკითხს, შერჩეული ალტერნატივის სტრატეგიულ ობიექტებთან და დასახლებულ პუნქტებთან/კერძო საკუთრებებთან სიახლოვეს, მათ შორის განსახლებისა და კომპენსაციის საკითხებს, GWP-ის თბილისის წყალმომარაგების ობიექტების (წყალსაცავების) სანიტარული დაცვის ზონებს, სასმელი წყლის შესაძლო დაბინძურების რისკებს, საცხოვრებელი პირობების გაუარესებას, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ზემოქმედებას, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედებისა და მოდელირების საკითხებს, ხმაურის გავრცელებასთან დაკავშირებულ ზემოქმედებებს, პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ინფრასტრუქტურის გადატანასთან დაკავშირებით გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასებას. **აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია სააგენტოში საჯარო განხილვებზე დასმული საკითხებისა და ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე წარმოდგენილი შენიშვნების/მოსაზრებების გათვალისწინების შესახებ. დანართის სახით გიგზავნით ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტოში წარმოდგენილ შენიშვნებს/მოსაზრებებს და საჯარო განხილვების ოქმებს.**

გთხოვთ, უზრუნველყოთ ყველა ზემოაღნიშნული საკითხის/შენიშვნის შესახებ ინფორმაციის/დოკუმენტაციის 1 თვის ვადაში წარმოდგენა. აღნიშნული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე, სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ.

დანართი: ელ. ვერსია

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო